პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 101 (10187)

პარასკევი, 29 აპრილი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის! დაგეგმვის ახალი წესის საფუძველზე უკეთ გამოიყენეთ მიწის სავარგულები და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, სიმინდი, რძე, მატყლი, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

ადგილობრივი საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პროგრამა დასახა. მან საბჭოთა ხალხის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დააყენა უახლოესი 5-6 წლის მანძილზე მარცვლეულის საერთო მოსავლის აყვანა სულ მცირე 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება ერთიორად და უფრო მეტად.

ამ ამოცანის განსახორციელებლად მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ბრძოლა. კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, საბჭოთა მეურნეობებმა შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გასაადიდებლად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ბედი კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში წყდება. ამიტომ სოფლის პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოების ამოცანები: ისინი სისტემატურად უნდა სრულყოფდნენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს, ყოველ ღონისძიებას ახორციელებდნენ, ყველა საშუალებას იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად, ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს რეზერვების გამოვლინებასა და ამოქმედებაში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმისათვის მეტად მნიშვნელობა როდი აქვს მოწინავე გამოცდილების გავრცელებას და საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგვას.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორი ადამიანებით, სიმინდის, ჩაის, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებით, მოწინავე მწველავებით. მათი გამოცდილების გავრცელება და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა დიდად დაგვეხმარება საერთო წარმატების მოპოვებაში. მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელები, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული ეს ჭეშმარიტება, სისტემატურად ზრუნავენ საკოლმეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის.

ბევრი მოწინავე ადამიანი ჰყავს ბათუმის რაიონის ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას. მთელ რაიონში განთქმულია ამ კოლმეურნეობის მწველავის ფენია ქერიდის წარმატებანი. იგი 8 ძროხას უვლის. თვითეულ ძროხაზე გასულ წელს 3.800 კილოგრამი რძე მიიღო. ყოველწლიურად მაღალ მოსავალს იღებენ მეჩაიე კოლმეურნეები — სოციალისტური შრომის გმირი მარიამ პარასკევოპულო, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ფატი წითელაძე და სხვები. ახალშენის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ა. ვერძაძე), რომელიც კვალიფიციურად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ მოწინავეთა გამოცდილება ყველას კუთვნილება გახდეს. სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე, საბჭოს სესიებზე ხშირად განიხილავენ მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხს. როგორც ცნობილია, ბათუმის რაიონის კოლმეურნეები უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის კოლმეურნეებს ეჯიბრებიან. ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა ეჯიბრება ბელოზერსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობას. ახალშენის სასოფლო საბჭოს განუწყვეტელი ზრუნვის საგანს წარმოადგენს ბუდიონელთა შესანიშნავი გამოცდილების გადმოტანა და დანერგვა კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. შემთხვევითი როდია, რომ კალინინის სახელობის კოლმეურნეობას მაღალი სამეურნეო მაჩვენებლები აქვს.

სერიოზულ ყურადღებას უთმობს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხს ჩაისუბნის სასოფლო საბჭოც (თავმჯდომარე ქეთევან ფალავა), რაც გარკვეულ გავლენას ახდენს კოლმეურნეობის წარმატებებზე.

სამწუხაროდ, ასე როდია ყველგან. ცუდად ხელმძღვანელობს და ეხმარება კოლმეურნეობებს იმავე რაიონის ჯაბარის სასოფლო საბჭო. მოადუნებრა პასუხისმგებლობის გრძნობა კოლმეურნეობების მდგომარეობისათვის, სასოფლო საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ მ. ვარდმანიძემ არც კი იციან, თუ როგორ მუშაობენ კოლმეურნეობები. მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის რა ზრუნვაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვერცერთი მოწინავე კოლმეურნის გვარს ვერ დაგისახელებთ. ასეთი ადამიანები კი პრავლად არიან ამ სოფლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მათი გამოცდილების გაზიარება დიდად დაეხმარებოდა იმავე სოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას, რომელიც რაიონში ერთ-ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა.

მოწინავე გამოცდილების დასანერგავად სუსტად მუშაობს სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე გ. ჯუსოევი). მას კი ამის დიდი შესაძლებლობა აქვს. ამ რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობისა და მისი ადამიანების წარმატებანი ცნობილია მთელ რესპუბლიკაში. მოწინავე გამოცდილების გავრცელების საკითხი არც კი გამხდარა რაისაბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგნად.

ცუდად მუშაობენ მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის ქუთაისის რაისაბჭოს აღმასკომი და ამ რაიონის მთელი რიგი სასოფლო საბჭოები, გორის რაიონის ტყვიავის სასოფლო საბჭო და სხვ.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებულ უდიდეს ღონისძიებათა წარმატებით განხორციელება სოფლის მეურნეობისადმი საბჭოების ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამოცანაა კვალიფიციურად, კონკრეტულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ და დაეხმარონ კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს.

სწორად რომ უხელმძღვანელო, საჭიროა ცოდნა. ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკები მოვალენი არიან კარგად იცნობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, საფუძვლიანად ერკვეოდნენ მის ეკონომიკასა და ტექნიკაში, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის საკითხებში.

ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკებს ცოცხალი, ყოველდღიური ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ კოლმეურნეებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან, მათ უნარი უნდა შესწევდეთ შეამჩნიონ და მხარი დაუჭიროონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ყოველ ახალ, სასარგებლო თაოსნობას, საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისაკენ მიმართულ ყოველ ახალ ინიციატივას, გასწიონ მისი პოპულარიზაცია, ფართოდ დანერგონ იგი საკოლმეურნეო პრაქტიკაში.

ადგილობრივი საბჭოების, მისი დეპუტატების საქმიანობა მასებს უნდა ეღვიძებდეს უკეთესად მუშაობის მისწრაფებას, უვითარებდეს შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, ხელს უწყობდეს დასახული გეგმების შესრულებისათვის მთელი ძალების დარაზმვას.

მოწინავე გამოცდილების გავრცელება და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვა წარმატების მოპოვების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი სოფლის მეურნეობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის განუყრელ ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ო. ა. ბელოვას, ე. ა. ჩეტვერიკოვის, თ. ვ. კოლესნიკოვის, ი. მ. ზვერევისა და ი. გ. სუჩკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

1. ოლღა ალექსის ასული **ბელოვა**
2. ექვთიმე თანასეს-ძე **ჩეტვერიკოვი**
3. თევდორე ვასილის-ძე **კოლესნიკოვი**
4. ივანე მიხეილის-ძე **ზვერევი**
5. იოსებ გაბრიელის-ძე **სუჩკოვი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 22 აპრილი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

★

ახალი შრომითი მიღწევებით ხვდებიან საპირველმაისო ზეიმს

ვალდებულება გაანაღდეს

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის კოლექტივი ახალი წარმატებებით ხვდება საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — პირველ მაისს, მან აღებული ვალდებულება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. ჯერ კიდევ 15 აპრილისათვის 100,3 პროცენტით გაანაღდა საერთო პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა და მუშაობას განაგრძობს მაისის ანგარიშში.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ პ. გუნჩენკო, გ. აზალაძე, ა. ქურხული, ნ. ლეონავა, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

ხაშურელი დეპოელების წარმატება

ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივი მტკიცედ იბრძვის საპირველმაისო ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. დეპოელებმა გამსხვილებული პერიოდული შეკეთებიდან ხუთ-ხუთი საათით ადრე გამოუშვეს ორი ელმავალი. ავადმყოფი ელმავლების რაოდენობა 20 პროცენტით შემცირდა. ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით დიდი გადაჭარბებით სრულდება დავალებები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობა აწევითი და პეროიდული შეკეთების, დამხმარე და სალოკომოტივო სიგნალიზაციის საამქროებში. წარმატებით არის შესრულებული ნაკისრი ვალდებულება პირველ მაისამდე ისი მძიმეწონიანი მატარებლის გატარების შესახებ. მუშაობის ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდა აპრილში. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მძიმეწონასანმა მემანქანეებმა გ. ლომსაძემ, ლ. მიხაილიდმ, ი. ნემსაძემ, ი. ლაბაძემ, დ. გასიშვილმა, კ. ლურსმანაშვილმა.

„საუკეთესო ზეინკლის" წოდება მიეკუთვნა ვ. ცაცანაშვილს, შ. ქურდაძეს და გ. ბარბაქაძეს, რომლებმაც 16 დღეში შეასრულეს თვის დავალება.

დეპოს კოლექტივს ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ 7 ნოემბრისათვის სახელმწიფოს მისცეს მილიონნახევარი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვითა და შინარესურსების გამოყენებით ეს ვალდებულება წარმატებით ხორციელდება.

ჩაის უხვი მოსავლისათვის

ფალენჯიხა. (ჩაეც. კორ.). ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვა სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ შარშან 378 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს და წლიურ გეგმას 13 ათასი კილოგრამით გადაჭარბეს. წელს კი იბრძვიან იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 20 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი.

კოლმეურნეობაში არის მილიონერი ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლავრენტი ფიფია. ამ ბრიგადის წევრებს ჩაის პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად ყოველწლიურად ფოთლის უხვი მოსავალი მოჰყავთ. შარშან გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 4 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. ბრიგადის ფულადმა შემოსავალმა 1.288.000 მანეთს მიაღწია.

წელს ბრიგადის წევრებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 5 ათასი კილოგრამი ფოთოლი. საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მათ იკისრეს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. ნაკისრი ვალდებულება ბრიგადამ გაანაღდა. დროზე დაამთავრა ჩაის ბუჩქების გასხვლა, პლანტაციაში საკმაო როდენობით შეიტანა სასუქი, ფოთლის საკრეფად მოიმარაგა ყველა საჭირო ხელსაწყო. ბრიგადის წევრთა პირობაა წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 5 ათასი კილოგრამი ჩაი ნაცვლად შარშან მიღებული 3.100 კილოგრამისა.

ვალდებულების უკეთ შესრულების მიზნით ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც სერგო ფიფია ხელმძღვანელობს.

პარტიისა და მთავრობის მოწოდებით — კოლმეურნეოგეგმაში სამუშაოდ!

სოხუმი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ საკოლმეურნეო სოფლისათვის კადრებით დახმარების გაწევის შესახებ მხურვალე მოწონება ჰპოვა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში. პარტიის აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტებში ყოველდღიურად შეაქვთ ათობით განცხადება კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის შესახებ.

პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე წასვლის მხურვალე სურვილი გამოთქვეს ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების ინჟინერ-მექანიკოსმა ამხ. გ. ფირცხალავამ, გაზეთ „აფსნი აყაფსის" რედაქტორის მოადგილემ ამხ. ი. ამიჩბამ, ორჯონიკიძის სახელობის სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის ფეხსაცმლის ფაბრიკის წარმოების გამგემ ამხ. ა. ბუნოიანმა, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. დომუზაშვილმა, ამავე სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობის და მეზაღვინეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ყვანიამ, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. კ. ჩხენკელმა, აფხაზეთის სარეწაო საბჭოს არტელ „მეგობრობის" გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. სამუშიამ და სხვებმა. ისინი პირობას იძლევიან, რომ არ დაზოგავენ თავიანთ ენერგიასა და ცოდნას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

რესპუბლიკის ქალაქებში

გორი დღეს

1872 წელს გარდაიცვალა იტალიელ მშრომელთა ეროვნული გმირი, გამოჩენილი რევოლუციონერი ჯუზეპე გარიბალდი. გორელმა ხალხოსნებმა სამძიმრის დეპეშა გაგზავნეს იტალიაში. რომის გაზეთები თურმე წერდნენ: დეპეშები მსოფლიოს ისეთი ადგილებიდანაც კი მოდის, რომლებიც ბევრი ვეძებეთ რუკებზე, მაგრამ ვერ აღმოვაჩინეთო. მაგალითისათვის გორს ასახელებდნენ.

ასეული წლების განმავლობაში მსოფლიოს ხალხებისათვის უცნობი იყო დიდი ისტორიული წარსულის მქონე „ქართლის მეთაური" — ქალაქი გორი. აქ მეჩექმის ქოხში დაიბადა თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი, გენიალური ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობი — ოთხეს ბესარიონის-ძე სტალინი. ახლა მსოფლიოში არ არის ისეთი ქვეყანა, რომელშიც არ იცოდნენ გორი, რომლის წარმომადგენლებიც არ სწვეოდნენ ამ ქალაქს, არ ენახოთ ისტორიული სახლ-მუზეუმი, შთაბეჭდილებათა წიგნებში არ ჩაეწეროთ გულის სიღრმიდან მომდინარე ამადელვებელი სიტყვები:

— ჩვენ ვნახეთ დიდი სტალინის სამშობლო — გორი!

ლიახვს გაღმა, ბქ, სადაც იგი მტკვარს ერთვის, რამდენიმე წლის წინათ ჭაობიანი ველი იყო. ახლა ამ ველზე აგებულია საფეიქრო კომბინატის ვეებერთელა კორპუსები, ფეიქართა კოტტედ ნაგები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ლამაზი კოტეჯები, სკოლები, სბავშვო ბაღები, მაღაზიები...

ეს არის გორელ ფეიქართა ახლად გაშენებული დაბა, რომელსაც ზოგჯერ „ახალ გორსაც" უწოდებენ.

კომბინატი თავისი პირველი რიგის სიმძლავრით უკვე რამდენიმე წელია ჩადგა მოქმედ საწარმოთა მწყობრში, მაგრამ აქამდე მხოლოდ ხამ ქსოვილებს ამზადებდა. ქსოვილის საბოლოო გამოყენა კი ჩვენი ქვეყნის სხვა საფეიქრო საწარმოებში ხდებოდა. გასული წლის ოქტომბერში გორს ქსოვილების გამომყენი ფაბრიკაც შეემატა და დაიწყო გორული მარკის მზა საფეიქრო ნაწარმის გამოშვება.

„გორვაჭრობის" მაღაზიებმა პირველად მიიღეს გასაყიდად ადგილობრივ დამზადებული მადაპოლამი. ეს ამბავი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გორელ ფეიქართა შემოქმედებითს ცხოვრებაში.

ფეიქრები განუწყვეტლივ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აფართოებენ ასორტიმენტს. შარშან შემოდგომაზე მათ აითვისეს ახალი ქსოვილების — ბატისტის, სატინის, ნანსუკის წარმოება. ამჟამად კომბინატში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ახალი ნომრების ძაფების ასათვისებლად ნატიფი ქსოვილებისათვის: უკვე ათვისებულია 120 ნომრის ძაფი და შეუდგნენ მუშაობას 170 ნომრის ძაფის ასათვისებლად.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა, რომლის დამთავრებისას გორელი ფეიქრები ყოველწლიურად 30-32 მილიონ მეტრ ბამბეულ ქსოვილს მოგვცემენ.

საქვეყნოდ არის ცნობილი გორული ხილი. გორის რაიონის ხილისა და ბოსტნეულის ბაზაზე მუშაობს ქალაქის საკონსერვო ქარხანა, რომლის მურაბებსა და კონსერვებს ფართოდ იცნობენ ჩვენი სამშობლოს შორეულ კუთხეებშიც.

შენდება და მშვენდება ქალაქი. შარშან საექსპლოატაციოდ გადასცეს ქალაქის საავადმყოფოს ახალი შენობა, მდინარე მტკვარზე მთავრდება რკინაბეტონის საქალაქო ხიდის აგება, მალე ქალაქის საერთო ხედს დაამშვენებს სტალინის მუზეუმის, უნივერსალური მაღაზიის, ახალი სასტუმროს, მრავალი საცხოვრებელი სახლის, ადმინისტრაციული სახლის შენობები. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით 22 აპრილს გორში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის შემქმნელის დიდი ლენინის ძეგლს.

გორში სასწავლებლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდი ქსელია. აქ არის ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი, 7 საშუალო, ერთი რვაწლიანი, სამი დაწყებითი სკოლა, ორი მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლა, სამი ბიბლიოთეკა, რკინიგზის და რაიონული კულტურის სახლები, სასპორტო და მუსიკალური სკოლები, კინოთეატრი, კულტურისა და დასვენების პარკი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი...

ქალაქის მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრს, რომლის დარბაზიც ყოველი სპექტაკლის დროს მუდამ გაჭედილია მაყურებლებით.

დღითიდღე იცვლის სახეს უჭკნობი დიდებით მოსილი ქალაქი გორი.

მაგრამ მის კეთილმოწყობაში არის ჩრდილოვანი მხარეები, ზოგიერთი მუშაკის უთაურობის შედეგის გამოვლინება. ზოგჯერ მშენებლები შეუწყნარებლად აჭიანურებენ სამშენებლო ობიექტების დამთავრებას. მაგალითად, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს მიზნით ჭიანურდება სამუშაოები ხორცკომბინატის მშენებლობაზე. არის სხვა ხასიათის ნაკლოვანებებიც. ქალაქს არა აქვს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს ქალაქის აბანო.

* * *

სტუმართმოყვარე გორში მუდამ მრავლად არიან ჩამოსულები. არ წყდება მათი დენა სტალინის ისტორიულ სახლ-მუზეუმში.

...კვლავინდებურად ამაყად გადმოსცქერის გორს ქვეული ციხე, რომლის თავზეც კრთის წარწერა: „სამარადისო დიდება დიდ სტალინს!"

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ფეიქართა დაბის ერთ-ერთი უბნის ხედი.

ფოტო შ. კუკულავასი.



გეგმების შესრულება

მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა, რომელიც ჩაბმულია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირველი კვარტალის გეგმა 128 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 5.948 ჰექტარისა რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 7.599 ჰექტარი.

მტს-მა საგაზაფხულო კულტურები დათესა 3.292 ჰექტარზე. სიმინდის ნათესს უჭირავს 1.416 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 706 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა. კვადრატულ-ბუდობრივად დამატებით დათესილია 200 ჰექტარი.

* * *

თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებს 28 აპრილისათვის სიმინდი დათესილი ჰქონდათ 1.064 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.026 ჰექტარისა. გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით. კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 531 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა.

გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით 764 ჰექტარით გაადიდეს სიმინდის ფართობი.

სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1955 წლის 20 აპრილისათვის

წინ მიდიან:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	
გურჯაანის	რაიონი
ამბროლაურის	„
თიანეთის	„
გარდაბნის	„

ჩამორჩებიან:

აფხაზეთის ასსრ	
საგარეჯოს	რაიონი
ცხაკაიას	„
ქუთაისის	„
კაჩრეთის	„

სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1955 წლის 20 აპრილისათვის

წინ მიდიან:

მახარაძის	რაიონი
ლაგოდეხის	„
წყალტუბოს	„
ლანჩხუთის	„
გორის	„
ბოგდანოვკის	„

ჩამორჩებიან:

ადიგენის	რაიონი
მაიაკოვსკის	„
ახმეტის	„
ონის	„
ბორჯომის	„

სახელმწიფოსათვის კვერცხის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1955 წლის 20 აპრილისათვის

წინ მიდიან:

წითელწყაროს	რაიონი
ახალციხის	„
ასპინძის	„
ვანის	„
ცაგერის	„

ჩამორჩებიან:

ჭიათურის	რაიონი
გეგეჭკორის	„
ზუგდიდის	„
კასპის	„
ხობის	„

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად!

★

ვადები ინურეგა...

ასურეთისა და თეთრი წყაროს მტს-ების მომსახურების კოლმეურნეობებმა კარგა ხანია მზესუმზირას თესვა დაამთავრეს. კოლმეურნეობათა ერთმა ნაწილმა უკვე შეასრულა სიმინდის, საკვები ძირხვნების, ბოსტნეულის თესვისა და კარტოფილის რგვის დავალებები.

სიმინდის თესვა დაამთავრეს სოფელ დაღეთხაჩინის, ქოსალარის კოლმეურნეობებში. სოფელ ჯორჯიაშვილის ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც წინათ ჩამორჩებოდა, ახლა მოწინავეთა რიგებში დგას. კოლმეურნეობას ერი ი წელია სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სამეურნეო მუშაკი ს. ლაშხი. მას კარგად გამოადგა ასურეთის მტს-ის დირექტორად მუშაობის რვა წლის გამოცდილება. უნარიანი ხელმძღვანელის ხელში კოლმეურნეებმა გააძლიერეს შრომა და პირველ წელსვე სათანადო შედეგი მიიღეს. თუ 1953 წელს შრომადღეზე განაწილდა 2,7 კილოგრამი მარცვლეული, ფულად 98 კაპიკი, 1954 წელს განაწილებულ იქნა 3,5 კილოგრამი ხორბალი, 1 კილოგრამი სიმინდი და ფულად 2 მანეთი და 50 კაპიკი.

აქ ახლა უკეთესად მუშაობენ, ყველა დარგს ეძჩევა წინსვლა, აღმავლობა. საგაზაფხულო სამუშაოები დასასრულს უახლოდება. რაც მთავარია, ყველაზე ჩამორჩენილი დარგი — საზოგადოებრივი მეცხოველეობა თავს აღწევს გარდვევას. პირუტყვისათვის საჭირო საკვები დაგროვეს, მეწველი ძროხები ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს, და ბასული წლის პირველი ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 10 აპრილამდე თვითეულ საფურაე ძროხაზე უკვე მოწველილია 220 ლიტრი რძე.

არადამაკმაყოფილებელია თეთრი წყაროს მტს-ის მუშაობა საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობის კურსში არ არიან. მათ მაგიდაზე უდევთ ეგრეთწოდებული ათდღიური მიჩვენებლები და არ იციან, ყოველდღიურად სად რა მდგომარეობაა, გვიან ამჩნევენ ნაკლოვანებებს და შემდეგ მათი გამოსწორება ჭიანურდება. ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობენ ქსოვრეთის კოლმეურნეობაში მტს-ის აგრონომი ნ. ხარაზოვა, გუდარეხის კოლმეურნეობაში ზოოტექნიკოსი თ. არჩავაძე და სხვები.

ახლა საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმების შესრულების გადამწყვეტი დღეებია. აუცილებელია მთელი ძალების დარაზმვა, არსებული რეზერვების შემოქმედებითად გამოყენება, რათა სიმინდის თესვა და სხვა სამუშაოები დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულდეს.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.



სიღნაღის რაიონის წნორის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტი შ. ბანანაშვილი კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შარშანდელ შეცდომებს იმეორებენ

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თესვის ვადების დაცვას, აგროწესების მტკიცედ განხორციელებას. ამას ვერ ითვალისწინებენ ზნაურის რაიონში.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები კმაყოფილდებიან ცალკეულ კოლმეურნეობათა მიღწევებით და არ ითვალისწინებენ იმას, რომ თესვის ვადები იწურება.

სერიოზული ჩამორჩენაა სიმინდის თესვაში. რაიონში იმეორებენ გასული წლის შეცდომებს და კვლავ უგულებელყოფენ ამ კულტურის კვადრატულ-ბუდობრივად თესვას. გეგმის მიხედვით ზნაურელებმა სიმინდი პროგრესული წესით უნდა დათესონ 540 ჰექტარზე. დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული.

სოფელ ავნევის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა ზნაურის რაიონში. წლების განმავლობაში ავნეველები ყოველთვის დროულად და ხარისხიანად ასრულებდნენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. ავნევში დიდხანს ელოდნენ მტს-ის სათესებს. სათესები კი არ გამოჩნდა. ამის შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობა იძულებული გახდა რამდენიმე ათეულ ჰექტარზე სიმინდი ხელით, მობნევით დათესა. ავნეველებს არც ერთი ჰექტარი არა აქვთ დათესილი კვადრატულ-ბუდობრივად. ასევე ჩამორჩება სოფელ ქვათეთრის კოლმეურნეობაც.

რაიონში საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სუსტად გამოყენება. ზნაურის მტს-ის კოლექტივი ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს. ხშირია ტექნიკური მიზეზებით ტრაქტორების მოცდენის ფაქტები. ზოგჯერ კოლმეურნეობათა გამგეობები ვერ უზრუნველყოფენ სატრაქტორო ბრიგადებს საწვავით და მუშახელით. სიმინდის სათესი 22 მანქანიდან ყოველდღიურად მუშაობს 7-8 სათესი და ისიც დიდი შეფერხებებით. პირველი სატრაქტორო ბრიგადის „დტ-54“ მარკის ტრაქტორს მტს-ის სახელოსნოში საკისარები შებრუნებით დაუყენეს, ამიტომ ტრაქტორი მინდვრად გასვლისთანავე მწყობრიდან გამოვიდა და 10 დღე გაჩერებული იყო. სოფელ ქვათეთრის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მინდორზე „დტ-54“ მარკის ტრაქტორს ბლოკი დაუზიანდა და 10 დღეს უქმად რდგა. 16 აპრილს ამ კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. ჯიოევი) მექანიზატორები მუშახელით დროულად ვერ უზრუნველყო, მხოლოდ დღის 12 საათზე დაიწყეს მუშაობა.

ხვნა-თესვის მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ი რელიეფის პირობების გამო არ ემსახურება. სოფელ ფიქვიგვინის კოლმეურნეობას დასათესი აქვს 30 ჰექტარი სიმინდი. ხვნაზე დღიურად მუშაობს მხოლოდ ორი გუთანი, მათ შეუძლიათ დღეში მხოლოდ ნახევარი ჰექტარი მოხნან. ძნელი საანგარიშო არ არის, რომ ასეთი მუშაობით ფიქვიგვინელები ორი თვის შემდეგ დაამთავრებენ სიმინდის თესვას. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ თერეგვინის კოლმეურნეობაში.

ბევრ კოლმეურნეობაში თესვას დაბალხარისხოვნად, აგროტექნიკის დარღვევით აწარმოებენ. სოფელ ვილეების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე სიმინდის სათესი მანქანა მარცვალს ამტვრევდა. ეს მთელ დღეს შეუმჩნეველი დარჩათ ტრაქტორისტ ა. ყაზახაშვილს და აგრონომ ი. შაფათავას.

თესვის ამ დღეებში რაიონში დაბალია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მექანიზატორებს შორის. სატრაქტორო ბრიგადებში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. დაბალია შრომის დისციპლინა.

ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის ზნაურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

★

აგრონომებს აჩლევევენ

მომდინარე წლის ხელსაყრელი ამინდი ბევრგან სათანადოდ ვერ გამოიყენეს მინდვრის სამუშაოთა წინწასაწევად. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ქედის რაიონზე. აქ ბევრს ლაპარაკობენ სიმინდზე, როგორც ძირფას მარცვლეულ და საკვებ კულტურაზე, მაგრამ ზოგან ცარიელი მსჯელობა სპარბოს ნამდვილ საქმეს. სიმინდის თესვის ტემპი არადამაკმაყოფილებელია. არც სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაა დამაკმაყოფილებელი. თამბაქოს რგვა დაიწყო, ხოლო ბევრგან ნიადაგი არა აქვთ მომზადებული. თამბაქოს სამუშაოებში განსაკუთრებით ჩამორჩნენ სილიბაურის შვრნიკის სახელობის და ცხემნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები, სადაც დაბალია შრომის დისციპლინა. უხეშად დაარღვიეს კარტოფილის რგვის აგროტექნიკური ვადები. ჩამორჩა ვაზის დარგვის სამუშაოები. კოლმეურნეობებმა უზრუნველყოფილი არ არიან ნერგებით.

რაიონს ჰყავს ვაზის მყნობის მრავალი ოსტატი. მათი გამოცდილების დანერგვას ყურადღება არ ექცევა. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ კარგი სანერგეც მოაწყო. მაგრამ შარშან სანერგეებისადმი ყურადღება შესუსტდა. არც აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესდა სანერგე მეურნეობის განვითარებით და ამის შედეგად ნერგებს ახლა დაეძებენ.

საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმების შესრულება საფრთხეშია ქედის რაიონის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. ბერიძე). აქ სიმინდის თესვის დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული. უარესი მდგომარეობაა კარტოფილის რგვის, ერთწლიანი ოა მრავალწლიანი ბალახების თესვაში. ყველაზე ჩამორჩენილი არიან ის ბრიგადები, რომლებზეც დასახმარებლად „მიმაგრებული“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცალკეულ ბრიგადებზე მიმაგრების პრაქტიკა დასაგმობია. მაგრამ ქედაში ის რატომღაც კვლავ ძალაშია. აქ იღლევა თესვის აგროწესები. მეხუთე ბრიგადაში (ბრიგადირი ა. სურმანიძე) სიმინდი მეორეჯერ გადაუხნავ ნიადაგში დათესეს.

ასეთი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი ი. დიასამიძე) 9 აპრილს 38 კაციდან სამუშაოზე იყო 14, მეხუთე ბრიგადაში კი 31-დან — 10. აქ ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის, მეტ დროს საკუთარ მეურნეობაში მუშაობას ახმარენ. 9 აპრილს პირველ ბრიგადაში სიმინდის თესვა დაიწყეს, ხოლო კოლმეურნეობის მუშა-პირუტყვი პარტბრიგადიზაციის მდგენის ს. ბეჟანიძისა და პირველი ბრიგადის ხელმძღვანელის ი. დიასამიძის საკარმიდამო ნაკვეთებზე მუშაობდა. ეს გამონაკლისი როდია. ხელმძღვანელთა წაბაძვით კოლმეურნეობის მეგუთნეებიც ხარებს მეტწილად საკუთარი საჭიროებისათვის იყენებენ. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ ცხემნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე ო. სალაძე).

რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები და უბნის აგრონომები სუსტ კონტროლს უწევენ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის დაცვას. სამმართველოს აპარატი ქაოალდებით ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, მეტ დროს ანომებს სხვადასხვა ორგანოებთან მიმოწერას, მოხსენებითი ბარათების, სხვადასხვა ჯუმლებისა და ცნობების შედგენას, უმოქმედობას იჩენს სოფლის მეურნეობის სამმართველოს პროპაგანდის ჯგუფი (უფროსი აგრონომი ა ლორთქიფანიძე). სამმართველოს ცალკეული სპეციალისტები და თვით ჯგუფის ხელმძღვანელი „მაყოფილდებიან ზოგჯერ ლექციო-მოხსენების წაკითხვით.

საგაზაფხულო სამუშაოებში სამარცხვინო ჩამორჩენას ურიგდებიან პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი. ისინი ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ ჩამორჩენისა და აგროწესების უხეშ დარღვევათა გამოსწორებისათვის.

დ. კაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კაშკაშებენ ილიჩის ნათურები

გეო ფეიერშვილს ძილი გაუტყდა. აგერ რამდენი ხანია კოლმეურნეობის კანტორიდან დაბრუნდა, სადაც თანასოფლელებმა ელექტროშუქის მიღება ეზეიმეს. თავის ჯალაბობასთან ერთად ივანმა, სიხარულით ორიოდე ჭიქა გადაჰკრა, შემდეგ შვილიშვილებს ზღაპარი უამბო და ლოგინში ჩაწვა. ძილი კი, შენც არ მომიკვდე, არ მოდის. გონებაში ათასნაირი ფიქრი ირევა.

მოხუცი თვალებს ახელს. ოთახში ილიჩის ნათურა კაშკაშებს. თითქოს აქაურობას პირველად ხედავსო, გეო ყურადღებით ათვალიერებს კედლებს და ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს. მას შეუძლია ოდნავ შებრუნდეს, საკმარისია კედელზე ღილივით მიკრული ამომრთველს თითი დააჭიროს, რომ სიწათლე ჩაქრეს, მაგრამ სწორედ ეს არ უნდა გეოს. დაე ამირიდან ყველამ იცოდეს, რომ ჭილურტი ჩამორჩენილი სოფელი აღარ არის და არც სამოცდაცამეტი წლის გეოა სხვაზე ნაკლები.

ელექტრობა!

დროდადრო შეხედავს ხოლმე გეო შუშის პატარა ბურთს და თვალს ვერ უსწორებს. „ჰაი დედასა, — ფიქრობს იგი, — რა კარგი რაშია ეს დალოცვილი, ალბათ გორაკიდან ჩვენი სოფელი ერთ ანთებულ ჩირაღდანს ჰგავს. თავმჯდომარე იმახდა, გომური უნდა გავანათოთო. დაფრთხებოდნენ კი ძროხები, უსათუოდ დაფრთხებოდნენ. ის კი არა, აგერ მე ქალაქში ნამყოფი კაცი ვარ, ელექტრობის ხმა არა ვარ, მაგრამ ჩემს სახლში დღეს ნათურა პირველად რომ აინთო, ძილი გამიტყდა. როგორ იცვლება ქვეყანა“.

...არ ღლევა ფიქრები. მოხუცი საწოლიდან ფრთხილად დგება. როცა დარწმუნდება, მეორე ოთახში ტაბილად სძინავთო, ფეხაკრეფით ეზოში გადის, კიბის გვერდზე საგულდაგულოდ შენახულ ჯოხს იმარჯვებს და საჩეხზე ფრთხილად ჯდება.

ადრიანი გაზაფხულია, მაგრამ საკმარისად თბილა. ელექტროშუქს სოფელში სინათლის უცნაური ზოლები და ზოგპრული ჩრდილები დაუყენებია. ქვემოთ, ნარეკავს გაღმა, მეადიჯვარში ელექტრობის ციცინათელები ციმციმებენ!

— ეჰე, ჰე, ანათებს და ანათებს! შეხე, როგორ ჩიტებივით შემომსხდარან ბოძებზე, რაღა ვარსკვლავები და რაღა ეს ნათურები...

მეზობელ სახლში ვიღაცამ ჩაახველა. გეოს არა სურს ვინმემ დაინახოს, იტყვიან — ამდროული კაცი შუაღამისას რამ ააცუნდრუკაო, ამიტომაც მყის წამოდგა და სახლისკენ წასვლა დააპირა.

— მოიცა, ბიჭო, ცოტა ხანს მოიცა, — გაიგონა გეომ თავისი თანატოლის ბერუას ხმა. — შენც არ გძინავს? — ეკითხება იგი და გეოს გვერდით ჯდება.

— მძინარეს აქ რა მინდოდა!

— ანათებს, ა?

— რომ არ ანათებდეს, სიბნელეში დამინახავდი? მე შენ გეტყვი, ჩემსავით გიჭრის თვალი თუ რა...

ბერო ღიმება. ქისას ხსნის და მეზობელს სურნელოვანი თამბაქოთი უმასპინძლდება.

... ზის ორი მოხუცი შუაღამით კაკლის კუნძზე და თვითეული თავის ფიქრშია წასული. აგონდებათ ცხრაასხუთი წლის ცეცხლოვანი დღეები, ცხრაასთვრამეტი წლის აჯანყება, რომელიც დუშეთის მაზრის გლეხობა იარაღით აღსდგა [illegible] მდეგ, შემდეგ დამარცხების მარე ერმი, საპირველმაისო დემონსტრაციები, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება...

აგონდება გეოს შვილიშვილის მიერ ხმამაღლა წაკითხული:

...მოსკოვი. 1920 წლის სუსხიანი ზამთარი. დიდი თეატრის უზარმაზარი დარბაზი. ეხსნება ფარდა. დელეგატები სცენაზე ხედავენ რუსეთის უზარმაზარ რუკას, რომელზეც ჩამქრალი პატარა ელექტრონათურებია მიმაგრებული.

დარბაზში უჩვეულო გუგუნი დგას. აი გაისმა ზარის ხმა, და წამსვე სიჩუმე ჩამოვარდა. ადამიანები უცის ფეხზე წამოდგნენ და აღტაცებულნი უკრავენ ტაშს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს.

რევოლუციის დიდი ბელადი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა აღვადგინოთ ომისაგან დანგრეული მეურნეობა. იგი ხელში წიგნს იღებს:

— ჩვენს წინაშეა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგი ამ ტომის სახით, რომელსაც ყველა თქვენგანს დღეს ან ხვალ დაურიგებენ. ჩემი აზრით, ეს ჩვენი პარტიის მეორე პროგრამაა. თუ ელექტროფიკაციის გეგმა არ გვექნა, ნამდვილ მშენებლობაზე გადასვლა არ შეგვიძლია.

დიდი თეატრის ცივ დარბაზში გაისმოდა ვლადიმერ ილიას-ძის მგზნებარე, წინასწარმეტყველური სიტყვები:

— თუ რუსეთი დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრ ტექნიკურ მოწყობილობათა ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა ნიმუში გახდება მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის...

გლებ მაქსიმილიანეს-ძე კრჟიჟანოვსკიმ (გეომ იცის, რომ იგი ახლაც ცოცხალია), რომელიც „გოელროს“ თავმჯდომარე იყო, დამსწრეთ უამბო ქვეყნის ელექტროფიკაციის დიად გეგმაზე... რუკის იმ ადგილებზე, სადაც ელექტრონსადგურების აგება იყო განზრახული, თანდათანობით ინთებოდა პატარა ელექტრონათურები.

ეს იყო წარმტაცი მომავლის რუკა; ეს იყო ის, რაც ჩვენს მტრებს დაზოგ მეგობარსაც კი მხოლოდ კომუნისტების ფუჭ ოცნებად მიაჩნდათ.

ახლა თვითონ გეოა მოწმე როგორ განხორციელდა ვ. ი. ლენინის მიერ დასახული დიადი გეგმა, როგორ იცვალეს სახე აი თუნდაც აქაურმა სოფლებმა.

პირველად კი არ დამართვია მას სიხარულით გამოწვეული უძილობა. ასე იყო, როცა სოფელში პირველი ტრაქტორი მოვიდა, ასე იყო, ჭილურტელთა ყანებში პირველი კომბაინი რომ შევიდა, ასეა ახლაც, როცა არაგვის ხეობიდან წამოსულმა დენმა სოფელში პირველად აანთო ილიჩის ნათურები.

...ზის შუაღამით ორი მოხუცი გაჩირაღდნებულ სოფელში და თვითეულის გონებაში ისახება დიდი ლენინის საყვარელი, მუდამ ცოცხალი სახე.

ბევრს არ ეძინა იმ ღამეს ჭილურტში. ეს იყო ბედნიერების ტკბილი უძილობა.

ა. თოდუაძე.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში

პარტჯგუფი მეცხოველეობის ფერმაში

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვის სულადობის გეგმა და შესანიშნავი მაჩვენებლები მოიპოვეს პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ეს წარმატებანი პირველ რიგში აიხსნება კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის უნარიანი მუშაობით, იმით, რომ აქ კომუნისტები შრომის ავანგარდში დგანან და საქმით ასრულებენ მასების დამრაზმავ, მაორგანიზებელ როლს. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ზრუნავს მეცხოველეობის ყველა დარგის — მეძროხეობის, მეკამეჩეობის, მეღორეობის, მეცხვარეობის განვითარებისათვის. შარშან ოქტომბერში პარტიულმა ბიურომ განიხილა მეცხოველეობის ფერმების მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა იყო მეცხვარეობაში. მეცხვარეებს არ გაეთვალისწინებინათ წინა წლის მწარე გაკვეთილი, ფერმასთან არ მოეზიდათ საკვების საკმაო მარაგი და ამინდის მოსალოდნელი გაუარესების შემთხვევაში ცხვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ფერმაში ჩაშლილი იყო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

პარტიულმა ორგანიზაციამ მეცხვარეობის ფერმა განამტკიცა კადრებით და იქ პარტიული ჯგუფი შექმნა. ფერმის გამგე გ. შარმაზანაშვილი მოუქნელი მუშაობისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ეს საქმე კომუნისტ ს. ბოსტოღანაშვილს ჩაბარეს.

მეცხვარეობის ფერმაში შექმნილმა პარტიულმა ჯგუფმა მუყემსებს შორის გააჩაღა მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. ახლა აქ კომუნისტები ყოველი ახალი, საყურადღებო წამოწყების ინიციატორები არიან. ხშირად იმართება პარტიული ჯგუფის კრებები, ომმლებსაც უპარტიო მუყემსებიც ესწრებიან. კრებებზე ამხილებენ ფერმის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ულმობლად აკრიტიკებენ ზარმაცს, უპასუხისმგებლო მუშაკებს, რომლებიც დაუდევრად უვლიან ცხვარს.

პარტიულმა ჯგუფმა იმსჯელა იმის შესახებ, რომ მუყემსებს არ ჰქონდათ თბილი ჩექმები, საწვიმრები, ფერხდებოდა საკვების გადაზიდვა, და საკითხი დააყენა პარტიული ორგანიზაციის წინაშე, რომელმაც დროულად მიიღო ზომები. მალე მეცხვარეებს მიეცათ თბილი ტანსაცმელი, ფერმაში მოიტანეს საწოლები, ლამპები, შუშა.

დოლის წინა დღეებში პარტიულმა ჯგუფმა განიხილა დღლისათვის მზადებისა და მისი წარმატებით ჩატარების საკითხი. კომუნისტი ბრიგადირი ი. გოზალიშვილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა, ვალდებულება იკისრა მთლიანად შეინარჩუნოს და გაზარდოს ნამატი. მას მხარი დაუჭირეს მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა კომუნისტმა ი. გონაშვილმა და სხვა კომუნისტებმა. აგიტატორებმა მათი თაოსნობა დანარჩენ მუყემსებს გააცნეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ფერმის ყველა ბრიგადა და მუყემსი. ამის შედეგად ფერმა დოლს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა და ეს მეტად პასუხსაგები კამპანია წარმატებით ჩაატარა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეძროხეობის ფერმაშიც, სადაც პარტიული ჯგუფის ორგანიზატორია დ. იაკობაშვილი. პარტიული ჯგუფი სამი წევრისაგან შედგება. მეძროხეობის ფერმაში 405 საფურაე ძროხა ჰყავთ. წინათ აქაც არ იყო სახარბიელო მდგომარეობა. მესამე ბრიგადა წველადობის გეგმას ვერ ასრულებდა, ხბოები მოუვლელობით და უყურადღებობით იხოცებოდა, ზოგჯერ მუყემსი მინდობილ საქმეს არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდა, პირუტყვის კვების რაციონს არღვევდა, საქონელს დაუდევრად უვლიდა. ფერმაში ძროხები გადაყვანილი არ ჰყავდათ ბაგურ კვებაზე, დღეში სამის ნაცვლად ორჯერ წველიდნენ.

პარტიულმა ჯგუფმა მოაწყო ამ ბრიგადის მუყემსების შეხვედრა ფერმის მოწინავე მუყემსებთან, რომლებმაც მათ მოუთხრეს თავიანთ გამოცდილებაზე, ძროხების მოვლა-პატრონობის რაციონალურ წესებზე, დღის განრიგსა და კვების ნორმებზე, დღეში სამჯერ წველის ეფექტიანობაზე.

პარტჯგუფორგანიზატორმა პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა საკითხი ბრიგადაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. პარტბიურომ საფუძვლიანად შეისწავლა და პარტიულ კრებაზე განიხილა მეძროხეობის მესამე ბრიგადის ჩამორჩენის მიზეზები. კრებაზე კომუნისტებმა საქმიანი წინადადებები წამოაყენეს და დასახეს ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამის შემდეგ ბრიგადაში გაძლიერდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საქმეს თანდათან გამოსწორება დაეტყო. მეხბორეებმა შეცვალეს კვების ძველი წესი, ხბოს რძეს აძლევენ არა ვედროებით, არამედ საწყრეებით. მტკიცედ იცავენ ზოოჰიგიენურ წესებს, აწარმოებენ პირუტყვის პროფილაქტიკურ აცრას. ახლა ძროხები გადაყვანილი არიან ბაგურ კვებაზე, გაუმჯობესდა პირუტყვის მოვლა-პატრონობა, ზუსტად იცავენ კვების რაციონს, დღის განრიგს. დაიწყეს ძროხების დღეში სამჯერ წველა, რამაც პირველ დღეებშივე საუკეთესო შედეგი გამოიღო. ფერმის 115 ძროხიდან შენარჩუნებული და გამოზრდილია 116 ხბო. წელს მესამე ბრიგადაში ერთიორად გაბზარდა ძროხების წველადობა.

ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა კარგი შედეგები მოიპოვეს მეღორეობის განვითარებაშიც.

ასე უნარიანად მუშაობამ კოლმეურნეობას საშუალება მისცა დიდი გადაჭარბებით შეესრულებინა სახელმწიფოსათვის რძის, ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა, საგრძნობლად გაეზარდა შრომადღის ხვედრი. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მეცხოველეობის ფერმის პარტიულ ჯგუფს.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

როცა ტექნიკური პროგრესისათვის სუსტად იბრძვიან

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მრავალი ნიჭიერი ნოვატორი მუშაობს. გასულ წელს მარტო რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით ქარხანაში გაწეულ იქნა ოთხ მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია. ამის მიუხედავად შიდასაწარმოო რეზერვები და შესაძლებლობანი აქ ჯერ კიდევ უნარიანად არ არის გამოყენებული. ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ ნოვატორთა წინადადებებს.

მეტალურგიული ქარხნის ლითონმცოდნეობის ლაბორატორიის უფროსმა, კომუნისტმა თ. ჩიხლაძემ 1953 წლის აგვისტოში მილნამზადის საამქროს ხელმძღვანელებს წარუდგინა რაციონალიზატორული წინადადება. იგი რჩევას იძლეოდა, რომ გადატანისას მილნამზადის შესაკრავად მავთულის ნაცვლად ლითონის კავები გამოეყენებინათ. ამ წინადადების პრაქტიკაში დანერგვა მავთულის დიდ ეკონომიას იძლეოდა, აჩქარებდა შრომის პროცესს. მაგრამ საამქროს უფროსმა გ. ქურდიანმა ქარხნის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს ოფიციალურად აცნობა, რომ თ. ჩიხლაძის წინადადების პრაქტიკულად გამოყენება შეუძლებელია.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ეს წინადადება ამავე ვარიანტით მილნამზადის საამქროს ხელმძღვანელებს წარუდგინა. მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსმა ი. კოგანმა. ამ შემთხვევაში გ. ქურდიანმა რაციონალიზატორულ წინადადებას მოკლე რეზოლუცია დაადო: „მისაღებია“, ალბათ წინადადების ახალი ავტორის პიროვნებას ან თანამდებობას თუ მიანიჭა უპირატესობა. მალე საქვაბე-სამჭედლო საამქროში მილნამზადის საამქროსათვის დამზადდა 130 ცალი ლითონის კავი, რაც 41.000 მანეთი დაჯდა. თ. ჩიხლაძემ ქარხნის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს შეჯასენა, რომ მან კოგანზე ადრე შეიტანა აღნიშნული წინადადება. ამის შემდეგ გ. ქურდიანმა კვლავ დაიწყო მტკიცება, რომ ლითონის კავები ჯართის სახით გაგზავნა საურნალო საამქროში. ამრიგად კავების დამზადების ღირებულება სახელმწიფომ მთლიანად ეზარალა.

ქარხნის მთავარმა მეყალიბემ კომუნისტმა ა. ბურსინმა გასული წლის ოქტომბერში ბლუმინგის საამქროსათვის შეემუშავა გლინვის ახალი, გაუმჯობესებული სქემა, რაც აგრეგატების წარმადობის მკვეთრად გადიდების საშუალებას იძლეოდა. ეს საჯარგებლო წინადადება ბლუმინგის საამქროს უფროსს ა. გუსევს ოთხი თვის მანძილზე მაუდქვეშ ჰქონდა ამოდებული. სამუშაროდ, ასეთი ფაქტები აქ ხშირია.

ქარხანაში სუსტად მუშაობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიურო (უფროსი ინჟინერი ა. გავტიანი). შარშან 567 რაციონალიზატორული წინადადებიდან (მათ შორის 314 წინადადება 1953 წელს არის შეტანილი) წარმოებაში დაინერგა 118. მომდინარე წლის პირველ კვარტალში კი 307 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში მხოლოდ 36 დაინერგა.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტას, თავის დროზე არ ეხმაურება ნოვატორთა ძვირფას წამოწყებას. ქარხნის პარტიულ კომიტეტს (მდივანი მ. წიტაიშვილი) წელიწადზე მიტია არ განუხილავს მეტალურგიულ წარმოებაში ტექნიკური სიახლეთა დანერგვისა და რაციონალიზატორ-გამომგონებლებთან მუშაობის საკითხები. ასევე უგულებელყოფენ ამ საქმეს საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციებიც. მილსაგლინავი საამქროს პარტორგანიზაციის (მდივანი ვ. რევია) კრებაზე დეკემბერში განიხილეს შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხი. პარტიულმა კრებამ ზოგადი დადგენილება მიიღო. აი რა წერია ამ დადგენილების ერთ-ერთ მუხლში: „წლიური გეგმის წარმატებით შესრულებისა და ყოველკვარტალურად მილების გამოშვების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემკირებასთან დაკავშირებით ჩვენს საწარმოში განუხრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება“...

ასეთი საზეიმო ტონით არის დაწერილი მთლიანად დადგენილება, მაშინ როცა ფაქტიურად მილსაგლინავი საამქროს მუშობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. აქ ჯერ კიდევ არის წუნდებული პროდუქციის გამოშვების შემთხვევები, დიდი რაოდენობით იხარჯება მასალები, გულგრილობას იჩენენ წარმოების ნოვატორთა მიმართ. პირველ კვარტალში შემოსული 15 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში მხოლოდ ერთი დაინერგა.

ტექნიკური პროგრესისათვის ასევე არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ბლუმინგის, მარტენის, კოქსქიმიური, საბრძმედე და სხვა საამქროთა პარტიული ორგანიზაციები.

პარტიის რუსთაველის საქალაქო კომიტეტმა და მეტალურგიული ქარხნის პარტკომმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ბრძოლა შრომის მოწინავე მეთოდების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისათვის.

გ. ბელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წერილები რედაქციას

ეს წვრილმანი როდია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შემდეგ ჩვენი კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში ბევრი რამ გაკეთდა. ავაგეთ ახალი სტანდარტული სადგომი, ახლა შრომატევად სამუშაოთა პროცესების მექანიზაციას ვაწყობთ. გასული წელს პირველად შეასრულეთ წველადობის გეგმა.

იანვრის პლენუმის დადგენილებამ ახალი ამოცანები დაგვისახა. წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.400 ლიტრი რძის მოწველა ვიკისრეთ.

ენერგიას არ ვიშურებთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი ხელისშემშლელი გარემოება. მაგალითად, ამჟამად ფერმაში ასოცი ახლადმოგებული ხბო გვყავს. ყველა ისინი გადაყვანილია ხელოვნურ კვებაზე. მაგრამ ჩვენი და მეხბორეების მუშაობას ართულებს ის, რომ ფერმაში რძის მარტო რძა ხელოვნური საწოვარი გვაქვს. კოლმეურნეობის გამგეობას გაუძნელდა მათი შეძენა, რადგან არც გორში და არც მეზობელ რაიონებში არ იყიდება. ზოოვეტმომარაგების მუშაკები ხელოვნური საწოვრებით კოლმეურნეობების მომარაგებას ალბათ წვრილმან საქმედ თვლიან და ამიტომ თავს არ იწუხებენ.

საჭიროა ამ საკითხს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სერიოზული ყურადღება მიაქციოს.

ლ. ლომიძე,
მ. გოგიაშვილი,
ა. გოგიაშვილი,
გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეძროხეობის ფერმის მწველავები.

მეჯი ყურადღება სანირეს კეთილმოწყობას

სოფელ საწირეს ულამაზესი ბუნებრივი მდებარეობა აქვს. იგი ქალაქ ტყიბულს 5-6 კილომეტრით არის დაშორებული.

საწირეში ზაფხულობით მრავალი ბავშვი მოჰყავთ დასასვენებლად როგორც ტყიბულიდან, ისე ქუთაისიდან. მიუხედავად ამისა, საწირეს კეთილმოწყობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

სოფელს რამდენიმე ბუნებრივი წყარო აქვს, მაგრამ ისინი, განსაკუთრებით ზაფხულობით, ვერ აკმაყოფილებენ მცხოვრებთა და დამსვენებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. გადაწყდა წყლის კოშკურის აგება, იგი საკურორტო სეზონის დაწყებამდე უნდა დამთავრებულიყო. მშენებლობა, რომელიც ტყიბულშახტმშენის ტრესტს დაევალა, გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო. მაგრამ მშენებლების მიზეზით ეს საქმე ჩაიშალა, მათ კოშკურის მშენებლობა მიატოვეს. რაც გაკეთებული იყო, უყურადღებობის გამო ნაწილობრივ ისიც გაფუჭდა. მალე დაიწყება ახალი საკურორტო სეზონი, მშენებლობის განახლებასა და მის დამთავრებაზე კი დღესაც არავინ ფიქრობს.

კურორტი საერთოდ კეთილმოუწყობელია: მოუვლელი და თავმინებებულია სასოფლო გზები, მოუგვარებელია განათების საქმე, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა და დამსვენებელთა კანონიერ გულისწყრომას იწვევს.

კურორტი მოკლებულია კულტურულ მომსახურებასაც. ძველი სასოფლო კლუბის შენობა ამ სამი წლის წინათ დაინგრა, ახლის აგებაზე კი არავინ ზრუნავს.

კურორტი საწირე ძირითადად ტყიბულქვანახშირის ტრესტის გამგებლობაშია. ტრესტის ხელმძღვანელები კი მას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. საჭირო დაფინანსების უქონლობის გამო ეს შესანიშნავი კურორტი ძალიან ნელა ვითარდება. უკეთესი იქნებოდა, თუ საწირე საქართველოს სსრ კურორტთა მთავარ სამმართველოს გადაეცემოდა.

საწირეს ყველა ღირსება აქვს იმისათვის, რომ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად გადაიქცეს.

ჯ. კუბლაშვილი.

საჭიროა დახმარება

მაიაკოვსკის რაიონში საკოლმეურნეო სოფლები ძირითადად ელექტროფიცირებულია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სოფელი როკითი.

როკითის კოლმეურნეობასთან ახლოა ვარციხის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ელექტროენერგიას აწვდის რიონჰესი.

კარგი იქნება, თუ ვარციხის საბჭოთა მეურნეობა აიღებდეს შეფობას ჩვენს კოლმეურნეობაზე და დაეხმარებოდეს მას ელექტროფიცირების საქმეში.

მასწავლებლები ნ. აბულაძე,
ნ. ზივზივაძე,
კოლმეურნე ბ. ქოქრიძე,
ბრიგადირი ლ. სიოხლიკა.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებამ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხს ახალი ამოცანები დაუსახა. უახლოეს 5-6 წელიწადში მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ორჯერ და უფრო მეტად უნდა გაიზარდოს. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო შემდგომ გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეობის მუშაკთა შორის, განვამტკიცოთ ფერმები უნარიანი, საქმის მცოდნე კადრებით, უზრუნველყოთ პირუტყვისათვის კულტურულად მოწყობილი სადგომების აგება და შეექმნათ მტკიცე საკვები ბაზა.

„კომუნისტის“ მკითხველები რედაქციას ატყობინებენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში დიდი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. გურჯაანის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია, — გვწერს **გ. ჭეიდლიშვილი,** — სათავეში უდგას ძძოლას მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. კომუნისტთა კრებამ განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგები და დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს მეცხოველეობის კულტურული ბინების მშენებლობა. კომუნისტმა მექანიზატორმა გ. ჭუჭულაშვილმა გადაწყვიტა სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში თვითონ განახორციელოს მექანიზაცია, დადგას ყველა საჭირო დანადგარი. ზოოტექნიკოსები და აგრონომები ვალდებულებას კისრულობენ 1955 წლის განმავლობაში ყველა კოლმეურნეობაში მთლიანად გადაიყვანონ პირუტყვი ბაგურ კვებაზე, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დაამზადონ 8-10 ტონა სილოსი.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს მიღებული დადგენილების შესრულებას, რაზმავს მტს-ის მუშაკებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის კოლმეურნეობაში, — მოგვითხრობს რაიონულ გაზეთ „ლენინელის“ კორესპონდენტი **გ. ჭუმბურიძე,** — მეცხოველეობა ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ფერმებში კადრების სწორად განაწილებას, ჯიშიანი პირუტყვის მომრავლებას და მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მტს-ი სათანადოდ არ ეხმარებოდა კოლმეურნეობას ფერმის მოწყობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. მეცხოველეობის ფერმა განმტკიცდა გამოცდილი კადრებით, მათ შორის არიან კომუნისტები გ. გურგენიძე, ა. კობახიძე, ნ. კვინიკაძე, ი. გუმბერიძე და ა. გაჩეჩილაძე. მეცხოველეობის ფერმაში შეიქმნა პარტიული ჯგუფი, რომელმაც გააჩაღა მუშაობა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. საჭირო ღონისძიებანი განხორციელდა პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით ბოგდანოვკის რაიონში შეიძინეს 24 სული ჯიშიანი ძროხა. ააგეს კეთილმოწყობილი ბინა 100 სული ძროხისათვის. ამ სამუშაოთა შესრულებაში კოლმეურნეობას საქმიანი დახმარება გაუწიეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და მტს-ის მუშაკთა კოლექტივებმა.

უკანასკნელ ხანებში ფერმაში გაუმჯობესდა საავტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები სისტემატურად აწყობენ საუბრებს მწყემსებთან და პირუტყვის მომვლელებთან.

როგორც ბადიაურის მტს-ის პარტიიურის მდივანი **გ. ზირაქაშვილი** რედაქციაში გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ მუშაობას ეწევა მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამჟამად მთელი ყურადღება გადატანილია მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლაზე. მტს-ის სპეციალისტები სისტემატურად აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს აგრობიოლოგიური მეცნიერების საკითხებზე.

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე იტყობინებიან აგრეთვე „კომუნისტის“ მკითხველები — კაჭრეთიდან რაიკომის ინსტრუქტორი **გ. ჯავახიშვილი,** ყიარონის მტს-იდან **პ. ლონდარიძე,** ქედის მტს-იდან **ნ. ახალაშვილი,** ცხაკაიადან **ბ. მილიუტინი** და აბაშიდან **რ. გვაზავა.**

ჩოცა გაზეთის სიგნალს უგულებელყოფენ

საქობო ერთ-ერთი დიდი სოფელია სიღნაღის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ მის კეთილმოსაწყობად ბევრი რამ გაკეთდა, ზოგიერთი რამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია. სოფელი ელექტროფიცირებულია, ყველა ქუჩას ელნათურები ანათებს. მხოლოდ შუა უბანია მოკლებული ამას. ერთი წლის წინათ აქ ბოძები ჩაყარეს ელექტროშუქის გამოსაყვანად, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანისათვის არავინ იზრუნა და ბოძები დალპა.

არც სასმელი წყალი ჰყოფნის სოფელს. ამიტომ ონკანებთან დიდი რიგები იმართება, ზოგჯერ კი წყალი მთლად წყდება, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

სოფლის საჭირბოროტო საკითხების შესახებ არაერთხელ დაბეჭდილა წერილი რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეში“, მაგრამ გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს არავინ გამოეხმაურა.

სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომმა და სასოფლო საბჭომ სათანადო ზომები უნდა მიიღონ სოფელ საქობოს მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გ. კანანელი.

მომხმარებელი მოითხოვს

ქ. თბილისის სავაჭრო ქსელში ძნელია ბავშვის ფეხსაცმლის შოვნა, რაც გასაყიდად გამოაქვთ, ის მოსახლეობას ვერ აკმაყოფილებს. მცირე რაოდენობით გამოდის ტყავისძირიანი ფეხსაცმელი მოსწავლეებისათვის.

ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკის პროდუქციის გამოშვების საერთო გეგმაში 40 პროცენტს ბავშვის ფეხსაცმელი შეადგენდა. ამჟამად ეს საწარმო ინდივიდუალური დაკვეთის ფაბრიკად გადაკეთდა. გოგონების ფეხსაცმელს 31-დან 34 ნომრამდე არც ერთი ფაბრიკა არ უშვებს, მცირე რაოდენობით გამოდის 35-დან 38 ნომრამდე.

მომხმარებელი თხოულობს საბავშვო ასორტიმენტის ფეხსაცმელს სეზონის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხული დადგა, ზაფხულის ფეხსაცმელი — სანდალეტი, რომელზეც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა, სავაჭრო ორგანიზაციებს არა აქვთ.

ზემდგომმა ორგანოებმა კონტროლი უნდა გაუწიონ ბავშვის ფეხსაცმლის გამოშვების სწორად დაგეგმვას.

საჭიროა დაჩქარებით დაისვას საკითხი, რომ რომელიმე ფაბრიკაში იკერებოდეს გოგონების ფეხსაცმელი 31-დან 34 ნომრამდე. უნდა მოწესრიგდეს სანდალეტის დროულად შემოტანა სოხუმიდან, სადაც იგი იკერება.

საბავშვო ასორტიმენტის ფეხსაცმლით მომხმარებელთა დაკმაყოფილებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ნ. მეფარიშვილი,
მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორი.

უყურადღებობის შედეგად

ვეტერინარობ მეაბრეშუმეობის საკავლევი ინსტიტუტის საცხოვრებელ სახლში, მაიაკოვსკის ქ. № 4. ამ სახლის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პირობები მოუგვარებელია: სახურავში წვიმა ჩამოდის, კედლები ნესტიანია, არ არის წყალსადენი, ეზოში გამოსასვლელი გზა ჩაბნელებულია. არა დგას ნაგვის ყუთი. ამიტომ გამეფებულია ანტისანიტარია.

ჯერ კიდევ შარშან რამდენჯერმე მივმართეთ სტალინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომელმაც საქმის მოგვარება მეაბრეშუმეობის საკავლევი ინსტიტუტის დირექციას დაავალა. გაჩაღდა მიწერმოწერა, მაგრამ საქმე მაინც არ მოგვარდა. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

მ. სოკურაშვილი.

ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში (მახარაძის რაიონი) ფართოდ ინერგება მექანიზაცია. სურათზე: ციტრუსების პლანტაციების შეწამლვა ახალი მანქანით.

ფოტო შ. ლუცენკოსი.

საკოლმეურნეო სოფლისათვის

დღითიდღე უფრო მექანიზებული ხდება საკოლმეურნეო სოფლის შრომა. რესპუბლიკაში არსებული 102 მტს-ი და მეცხოველეობის სამანქანო სადგური სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებს ახალ იარაღ-მანქანებს, ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვ.

წელს მტს-ებისათვის მიღებულ იქნება 30 ტრაქტორი „ბელარუსი“, რომლებიც გადაეცემა გოშის, აგარის, ახალსოფლის, ლაგოდეხის, ვარდისუბნის, დიღმის, მცხეთის, საბაგრის და სხვა მტს-ებს.

მტს-ები მიიღებენ 75 ავტომძრავ სახელოსნოს, მათ შორის ხუთს მეცხოველეობის ფერმების მომსახურებისათვის, სატვირთო და თვითსაცლელ ავტომანქანებს, სიმინდის ასაღებ ათ კომბაინს, პირველად მიიღებენ აგრეთვე სასელოსე მასის ასაღებ 40 კომბაინს, კომბაინების მოწყობილობას მზესუმზირას აღებისათვის.

წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში პირველად იმუშავებს მალცევის სისტემის უფრთო გუთნები, ღრმად გამფხვიერებლები. მტს-ებს ემატება კულტივატორები, კვადრატულ-ბუდობრივად სათესი, კარტოფილის სარგავი და მარცვლის საწენები მანქანები, ელექტროსაპარსავი აგრეგატები, თივის დასაზვინავი მანქანები.

მომზადებული ხვდებიან თევზჭერის სეზონს

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს თევზეერის მთავარი სამმართველოს აპარის ბაზამ (დირექტორი შ. ითსელიანი) წელს სახელმწიფოს 25 ათასი ცენტნერი თევზი უნდა ჩააბაროს. ამ ამოცანის შესასრულებლად დროულად შეუდგნენ მზადებას. უკვე წესრიგზე მოიყვანეს თევზსაჭერი ფლოტი. წელს 12 სეინერი ამუშავებს. ბაზა მომარაგებულია კაპრონის გამძლე ბადეებით, სეინერებზე დადგმულია ბადის ასაზიდი მანქანები, რადიოკვანძები. მიღებულია და წელს ბაზას მომსახურებას გაუწევს მზეერავი სეინერი, რომელიც დაკომპლექტებულია სათანადო კადრებით. მალე თევზეერა მასობრივად გაჩაღდება.

თბილისის გარეუბნის რაიონის მეცხოველეობის მუშაკთა ოპტიმიზმი

მეცხოველეობის დარგში ექვსი თვის მუშაობის შედეგებს და ახალ ამოცანებს მიეძღვნა თბილისის გარეუბნის რაიონის მეცხოველეობის მუშაკთა თათბირი, რომელიც ამ დღეებში შედგა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კლუბში.

მოხსენებით გამოვიდა გარეუბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. კორახაშვილი.

— 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის, — თქვა მომხსენებელმა, — 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონის მეცხოველეობის ფერმებში მოწველილი იყო 331 ტონით მეტი რძე, ხოლო მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დასაწყისიდან განვლილ ექვს თვეში მიღებულმა რძის პროდუქციამ ორჯერ გადააჭარბა გასული წლის შესაბამისი პერიოდის ოდენობას.

მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობის მაჩვენებლები მოწმობენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების უდიდეს შესაძლებლობებს. ასე, მაგალითად, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე თვითეულმა საფურაჟე ძროხამ მოიწველა 260 ლიტრით იმაზე მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მნიშვნელოვნად გაადიდეს პროდუქტიულობა მარტყოფის ლენინის სახელობის, ლილოს სტალინის სახელობის, მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, კრწანისის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე საბჭოთა მეურნეობამ. ის, რაც აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა გააკეთეს წველადობის გადიდების საქმეში, ხელმისაწვდომია გარეუბნის რაიონის ყველა კოლმეურნეობისათვის.

მაგრამ კოლმეურნეობათა უმრავლესობა ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ხელსაყრელ პირობებს. რაიონის მრავალი მოწინავე მეცხოველის მდიდარი გამოცდილება ჯერ კიდევ არ გამხდარა მეცხოველეობის ყველა მუშაკის კუთვნილებად. ტაბახმელის, ლისის, ბევრეთის, კიკეთის, წყნეთის სასოფლო-სამეურნეო არტელები ცუდად იბრძვიან პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ამის მიზეზია თვითდინება მუშაობაში, ფერმებში ორგანიზატორული მუშაობის სისუსტე.

პარტია და მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობათა განვითარებისათვის. ახლა ამოცანა ის არის, რომ ამ მზრუნველობას ვუპასუხოთ შემოქმედებითი შრომით, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი, სამშობლოს მივცეთ რაც შეიძლება მეტი მეცხოველეობის პროდუქტები.

მოხსენების თრგვლივ გაიმართა ანტრეა გაცვლა-გამოცვლა. ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. მიგრიაულმა თქვა:

— შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 2.303 კილოგრამი რძე მივიღეთ. ვალდებულება ვიკისრეთ წელს მივიღოთ 3 ათასი კილოგრამი. პირუტყვის საკვები რესურსების გადიდების მიზნით დავთესავთ 205 ჰექტარ მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს, 137 ჰექტარ სიმინდს. უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ პირუტყვის ჯიშიანობა, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დაგრილების სწორ ორგანიზაციას, ბერწიანობის აღმოფხვრას. ძმურ დახმარებას გვიწევს მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელთანაც ჩვენ სოციალისტური შეჯიბრება გვაქვს.

ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ამხ. ელ. გოგიჩაიშვილმა განაცხადა: — წარმატებანი მეცხოველეობაში გაცილებით მეტი გვქონდნოდა, კოლმეურნეობის გამგეობა უფრო მეტ მზრუნველობას რომ იჩენდეს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ამხ. ი. გოგილაშვილი თავის გამოსვლაში შეეხო მეცხოველეობის ფერმებში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დაცვის აქტუალურ საკითხებს.

პარტიის გარეუბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა ილაპარაკა კოლმეურნეობებში არსებულ გამოუყენებელ რეზერვებზე. მან აღნიშნა, რომ წელს რაიონში გასულ წელთან შედარებით თითქმის 800 ჰექტარით იზრდება სიმინდის ნათესები.

თათბირს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე მოუთხრეს მოწინავე მეცხოველეებმა პ. წოწკოლაურმა (გლდანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა), გ. ლავრუსმა (კრწანისის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა), ნ. ქაჯაიამ (ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა), ნ. სავჩენკომ (დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა), ა. გარსევანოვამ (კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა).

თათბირმა მიიღო მიმართვა რაიონის მეცხოველეობის დარგის ყველა მუშაკისადმი ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლებისათვის და შეჯიბრებაში გამოიწვია მცხეთის რაიონი.

ქართული მხატვრული კერამიკის განვითარებისათვის

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათი კულტურული დონის ამაღლებას. ამ მზრუნველობის შედეგად დღითიდღე იზრდება და ფართოვდება კულტურულ დაწესებულებათა ქსელი. თანამედროვე საბჭოთა ადამიანი, რომელიც კომუნიზმის დიადი მშენებლობის გზაზე დაუღალავ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა, მოითხოვს, რომ ხელოვნების ყოველი ნაწარმოები იყოს მიმზიდველი, გემოვნებით შესრულებული. ხელოვნების რა დარგიც უნდა იყოს, იგი თავისი ფორმითა და შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე საბჭოთა ადამიანის მზარდ კულტურულ დონეს და მის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

ჩვენში დიდად გაიზარდა ინტერესი ხელოვნების ერთ-ერთი დარგისადმი — მხატვრული კერამიკისადმი. ჩვენი ერის კულტურამ, რომელიც მსოფლიო ისტორიის ოქროს ფონდშია შესული, სახვითი ხელოვნების შესანიშნავი ტრადიციები დაგვიტოვა. ქართული უძველესფასესი ოქრომჭედლობა, მოზაიკა, ხეზე და ქვაზე კვეთილობა და კერამიკული წარმოების სხვადასხვა ტექნიკა, რომელიც ისტორიას დღემდე შემოუნახავს, იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ სახვითი ხელოვნების ისტორიაში ქართველ ხალხს დიდი და სახელოვანი ადგილი უკავია. თანამედროვე საბჭოთა სპეციალისტები დიდ მუშაობას ეწევიან იმ მხრივ, რომ ძველი დადებითი ტრადიციების გამოყენებით ხელოვნებაში შექმნან ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური ახალი საბჭოთა სტილი და მშრომელ ხალხს მისცენ მაღალმხატვრული კერამიკული ნაწარმი.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჯერ კიდევ 25 წლის წინათ იაკობ ნიკოლაძის, მოსე თოიძისა და ბორის შეგუევის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა საინტერესო საქმეს — დაარსდა კერამიკული სახელოსნო, რომელიც შემდეგში გაფართოვდა და კერამიკულ ფაკულტეტად იქცა.

დღეს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერა-ქანდაკების ფაკულტეტის კერამიკის განყოფილებაში 500-ზე მეტი სხვადასხვა მხატვრული ექსპონატი ინახება. ესენია სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები, ფაიფურის დეკორაციული ლარნაკები, სხვადასხვა სახის სერვიზები, პანოები, ჭაღები, სხვადასხვა მანერით შესრულებული კერამიკის მინიატურები, მონუმენტური არქიტექტურული დეტალები შენობების ფასადების მოსაპირკეთებლად და სხვ.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში კერამიკის სპეციალისტები საკმაო რაოდენობით არიან, მაგრამ მათი წარმოებაში გამოყენების საკითხი დღემდე ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას.

კერამიკოსების ერთი ნაწილი გაერთიანებულია საქართველოს სსრ მხატვართა კავშირში. იმის გამო, რომ საქართველოში მხატვრული ფაიფურის წარმოება არ არსებობს, ეს სპეციალისტები დაპროექტებული თემის შესასრულებლად ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების ქარხნებში იგზავნებიან. ასეთი მივლინებები მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული, ამავე დროს დიდ ეფექტსაც ვერ იძლევა, რადგან კერამიკოსთა ასეთი ნამუშევრები მხოლოდ მუზეუმებში ინახება და ფართო მოხმარებისათვის გამოუყენებელია.

საქართველოში ბევრი კერამიკული წარმოება გვაქვს. ესენია თბილისის კერამიკული კომბინატი, თბილისის კაფელ-ფილების ქარხანა, გორის კერამიკული წარმოება და მახარაძის ფაიფურის ქარხანა. ყველა ამ წარმოების ტექნიკური ბაზა დღეს სავსებით მომზადებულია მაღალმხატვრული კერამიკული ნაკეთობის გამოსაშვებად. რატომ დღემდე არ უშვებენ ეს საწარმოები მხატვრულ ნაწარმს? იქნებ მხატვარ-კერამიკოსთა სიმცირეს განიცდიან?

ჩვენი რესპუბლიკა კადრებითა და ნედლეულით იმდენად მდიდარია, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი მხატვრული ფაიფურის და მხატვრულ-არქიტექტურული კერამიკული წარმოება.

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია არქიტექტურულ კერამიკას. მან აღნიშნა: „შენობათა გარე კედლების მოსაპირკეთებლად საუკეთესო მასალაა კერამიკა. კერამიკული მოპირკეთება ხანგრძლივია, ლამაზია და ექსპლოატაციის დროს ფერს არ იცვლის“.

საქართველოში მრავალი საშუალება არსებობს მძლავრი კერამიკული წარმოების შესაქმნელად. ზემოთ ჩამოთვლილი ქარხნების ბაზაზე საქართველოს ნედლეულითა და კერამიკის სხვადასხვა ტექნიკით შეიძლება მიღებულ იქნას მრავალნაირი არქიტექტურული კერამიკული დეტალი. გამოწვის შემთხვევაში ასეთი ნაწარმი ეფექტიანი, გამძლე და ჰავის ყოველგვარი პირობის ამტანია.

ადგილობრივი მრეწველობის და საშენ მასალათა სამინისტროებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ, რათა წარმოების ეს დარგი ჩვენში დამკვიდრდეს და განვითარდეს. აღსანიშნავია, რომ თბილისში კერამიკული კომბინატი უკვე ექვს წელზე მეტია მუშაობს. კომბინატში მხატვრული ფაიფურის წარმოება უნდა გახსნილიყო, რაც, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. კომბინატი ამჟამად განკუთვნილია ფართო მოხმარების სანიტარული ნაწარმის გამოსაშვებად. რაც შეეხება ფაიფურის მხატვრულ უნიკალურ და მასობრივ გამოშვებას, კომბინატს ამისთვის ხელი არ მოუკიდნია. კომბინატის ტექნიკური ბაზა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დარგის დანერგვისა და განვითარების სრულ შესაძლებლობას იძლევა. ამ მიზნის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭიროა კომბინატმა რეგულარულად აწარმოოს ფაიფურის მასის დამზადება, გადაიყვანოს წარმოების განსაზღვრული ნაწილი ფაიფურის მხატვრულ-უნიკალური და მასობრივი წარმოების გამოშვებაზე. ადგილობრივი მრეწველობისა და საშენ მასალათა სამინისტროებმა ამ უაღრესად საჭირო საქმეს დროულად უნდა მიაქციონ ყურადღება.

თბილისში მხატვრულ-კერამიკული წარმოების გახსნა მოსახლეობას მისცემს ქართული სტილის საუკეთესო სერვიზებს, მონუმენტალურ უნიკალურ ნაწარმოებებს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს.

ქართული მხატვრული კერამიკისა და ფაიფურის წარმოების დანერგვა მოგვცემს მდიდარი ქართული სახვითი ხელოვნების ფაიფურსა და სხვადასხვა კერამიკული ნაწარმის ფართო მასებში გავრცელების შესაძლებლობას.

შ. ციციშვილი,
მხატვარი-კერამიკოსი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს ცნობა

ვენა, 27 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი ცნობა:

სხვადასხვა ქვეყნის გავლენიანმა ორგანიზაციებმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართეს თხოვნით გადადოს ასამბლეის („შვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის. — **რედ.**) მოწვევა. ასამბლეის მოწყობა განზრახული იყო მაისში ჰელსინკში.

ასეთივე თხოვნით მიმართეს იმ პირებმა, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ ასამბლეაში.

ამის საფუძველზე გადაწყდა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა მოეწყოს 1955 წლის 22-29 ივნისს ჰელსინკში.

პარიზი, 1955 წლის 27 აპრილი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე ფრედერიკ ჟოლიო-კიური.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართვა

პრაღა, 28 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში იუწყება:

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მიმართვა მთელი მსოფლიოს პრესის მუშაკებისადმი. მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჟურნალისტები განზე ვერ გაუდგებიან ხალხთა ბრძოლას მშვიდობისათვის, ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტისა და მისი/შარაგის მოსპობისათვის.

„ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, — ნათქვამია მიმართვაში, — მხარს უჭერს ყველა ღონისძიებას, რომლის მიზანია სადავო საკითხთა შვიდობიანი გადაწყვეტა. მას მიაჩნია, რომ ამ მიზნის მიღწევით, კერძოდ, შესაძლებელი გახდება გაძლიერდეს ჟურნალისტთა მეგობრული ურთიერთობა, გაფართოვდეს ერთმანეთში მიმოსვლა და გამოცდილების გაზიარება. 22-29 ივნისს ჰელსინკში გაიმართება მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეა, რომელიც განიხილავს მშვიდობისათვის ბრძოლის გადაუდებელ საკითხებს. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს პრესას ყველა მუშაკს ყოველი საშუალებით დაუჭიროს მხარი მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა ამ შესანიშნავ კონგრესს“.

შეიარაღებული შეჯახება ისრაელისა და ეგვიპტის ჯარებს შორის

კაირო, 27 აპრილი. (საკდესი). პრესა იუწყება ახალი შეიარაღებული შეტაკების შესახებ ისრაელისა და ეგვიპტის მესაზღვრე ჯარებს შორის. როგორც ნათქვამია გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობაში, გუშინ ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა ნაღმსატყორცნთა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ეგვიპტის ჯარების პოზიციებს დეირ-ელ-ბალაგის რაიონში, რომელიც ღაზის სექტორთან მდებარეობს.

ეგვიპტის მხარეს ცეცხლითვე უპასუხა, და დაწყებული საარტილერიო სროლა 3 საათს გაგრძელდა.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბის წარმომადგენელნი ინციდენტის ადგილზე აღმოჩნდნენ და დაწყებული სროლის მოწმენი იყვნენ. ეგვიპტის წარმომადგენელმა ეგვიპტე-ისრაელის დაზავების შერეულ კომისიაში პროტესტი განუცხადა კომისიის იმის გამო, რომ ისრაელის მხარემ კვლავ დაარღვია შეთანხმება დაზავების შესახებ.

ატომის ქარხნის მუშათა გაფიცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ალბუკერკედან (ნიუ-მექსიკოს შტატი) იუწყება, გუშინ გაფიცვა გამოაცხადა ატომის ქარხნის 2.500 მუშამ. ეს ქარხანა ეკუთვნის „სანდია კორპორეიშნს“. გაფიცულნი მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტი

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). გუშინ ლონდონში, პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, გაიმართა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პარტიის რაიონული ორგანიზაციების მდივნებმა და სხვა თვალსაჩინო პარტიულმა მუშაკებმა.

როგორც „პრესა“ იუწყება, თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის წინასაარჩევნო მანიფესტი, რომელშიც წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნები: წყალბადის ბომბისა და ყველა სახეობის ატომური იარაღის აკრძალვა; გერმანიის შეიარაღების შეწყვეტა; შეიარაღების საერთო შემცირება; სახალხო ჩინეთის დაშვება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და კოლონიური ომების შეწყვეტა. საშინაო პოლიტიკის დარგში წამოყენებულია მოთხოვნა გაუმჯობესდეს ხალხის ცხოვრების პირობები ხელფასის, აგრეთვე პენსიებისა და სოციალური დაზღვევის დახმარების გადიდების გზით; გადიდდეს ასიგნობანი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის; შემცირდეს ბინის ქირა და გადიდდეს საბინაო მშენებლობა. მანიფესტი მოითხოვს, რომ მრეწველობის ყველა ძირითადი დარგი, ბანკები, დამზღვევი კომპანიები და მიწები ჩამოერთვას მონოპოლისტებს და გამოყენებულ იქნას ხალხის საკეთილდღეოდ. მანიფესტი მოითხოვს აგრეთვე მოისპოს ყველა შეზღუდვა ვაჭრობაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პალმ დატმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი შინაარსი უნდა იყოს მშვიდობისათვის ბრძოლა.

შემდეგ გამოვიდა ჯონ გოლანი, რომელმაც აგრეთვე განაცხადა: „ეს არჩევნები, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობისათვის ბრძოლაა“.

გოლანმა განაცხადა, რომ კონსერვატორთა პოლიტიკასა და მემარჯვენე ლეიბორისტ ლიდერთა პოლიტიკას შორის არც ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში არ არის არსებითი უთანხმოება, და შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამის საწინააღმდეგოდ პროფკავშირებში და ლეიბორისტული პარტიის ძირეულ ორგანიზაციებში ჩანს მისწრაფება გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ კონსერვატორთა პოლიტიკის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, გამალებული ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

ხანოი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩრდილოეთ ვიეტნამის მცხოვრებთა სამხრეთში ძალდატანებით ევაკუაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი მტკიცედ იცავენ ჟენევის შეთანხმებათა პირობებს ცეცხლის შეწყვეტის, ჯარების გადაჯგუფების, სამხედრო ტყვეთა გადაცემის, დემოკრატიულ თავისუფლებათა გარანტიის საკითხებზე.

რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებმა გამოაქვეყნეს დოკუმენტები, რომლებშიც დადასტურებულია მოსახლეობის ადგილგადანაცვლების თავისუფლება. ამ დოკუმენტებში ნათლად აღნიშნულია, რომ ის პირები, რომლებსაც სურთ ჩრდილოეთ ვიეტნამიდან გადასახლდნენ სამხრეთ ვიეტნამში, თუ საჭიროება მოითხოვს, მიიღებენ დახმარებას სახალხო ადმინისტრაციისაგან, რომ ადგილმბრივი ხელისუფალნი იზრუნებენ ევაკუირებულთა ქონებისათვის, რომელიც მათ გადაეცემათ, თუ ისინი დაბრუნდებიან, და რომ დაბრუნებულთ გაეწევათ დახმარება სამუშაოზე მოწყობაში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში იმ პირებს, რომლებმაც გულწრფელად მოისურვეს გადასახლება, დახმარება გაეწიათ. სახალხო ადმინისტრაციამ ნება დართო ათეულ ათასობით ადამიანს გადასახლებულიყვნენ სამხრეთში. მარტო 1955 წლის მარტში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ევაკუირებულთ გამოუყო ორი გემი სამხრეთში გასამგზავრებლად. ადგილმბრივი ორგანოები ზრუნავდნენ წამსვლელთათვის, ამზადებდნენ მათ სურსათით და აძლევდნენ ტრანსპორტს.

თუ რა ღონისძიებანი განახორციელა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ჟენევის შეთანხმებათა მე-14 მუხლის შესასრულებლად, ამის ცხადყოფს მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის დასკვნა.

მაშინ როცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ზუსტად ასრულებდა ჟენევის შეთანხმებებს, მეორე მხარემ არაერთხელ სერიოზულად დაარღვია ეს შეთანხმებები და სხვადასხვა მანევრის მიმართა იმ მიზნით, რომ მოეტყუებინა მოსახლეობა და ეიძულებინა იგი გადასახლებულიყო სამხრეთ ვიეტნამში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, პატიჟს სცემს მოსახლეობის ადგილგადანაცვლების თავისუფლებას, მაგრამ ამასთან მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დასაჯოს ისინი, ვინც ბოროტად იყენებს მას და ცდილობს განახორციელოს ძალდატანებითი ევაკუაცია.

დასავლეთის სახელმწიფოების ექსპერტთა ლონდონის თათბირისათვის

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ლონდონში იწყება თათბირი ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი ექსპერტებისა, რომლებიც განხილავენ „ევროპაში დაძაბულობის შენელების შესახებ“ საბჭოთა კავშირთან დასავლეთის სახელმწიფოების მოლაპარაკების მომზადების საკითხს. სააგენტოს სიტყვით, ექსპერტებს 10 დღე მიეცემათ საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის კონკრეტულ რეკომენდაციათა შესამუშავებლად. როცა ექსპერტები გერმანიის პრობლემებზე იმუშავებენ, რასაც დროის მეტი ნაწილი დასჭირდება, დასძენს სააგენტო, მათ დაეხმარება დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბლანკენჰორნი“.

„ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი, ეხება რა ექსპერტების თათბირს, წერს, რომ ისინი განიხილავენ ევროპაში „შეიარაღების შემცირების შესაძლებლობას“, აგრეთვე გერმანიის პრობლემას. მიმომხილველი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „რუსეთის ამასწინანდელ წინადადებას, რომ დიდოს ავსტრიის ხელშეკრულება ნეიტრალიზაციის (ავსტრიის ნეიტრალიზაციის. — **რედ.**) საფუძველზე“, შეუძლია „შეუქმნას გერმანელებს ანალოგიური პირობებით გაერთიანების პერსპექტივა“, წაეჩეზოს ისინი „ჩამოშორდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს“. მიმომხილველი ემუდარება „დასავლეთის თანამდებობის პირებს“, რომ მათ „წაართვან რუსებს ინიციატივა“ გერმანიის საკითხში. ექსპერტებმა, წერს „ტაიმსი“, ისეთი გადაწყვეტა უნდა გამონახონ, რომელიც გააერთიანებს გერმანიას, ამასთან „გერმანია უნდა დარჩეს დასავლეთის ბანაკში“.

მაგრამ, როგორც მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, დასავლეთის სახელმწიფოთა ექსპერტებს სამე ექნებათ „ძნელ და რთულ მოცანასთან“.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის XVII პირველობის ნახევარფინალი ჭადრაკში ქალთა შორის

ვილნიუსი, 27 აპრილი. (საკდესი). გუშინ დასრულდა ჭადრაკში ქალთა შორის სსრ კავშირის XVII პირველობის ვილნიუსის ნახევარფინალი.

გამარჯვება მოიპოვა მინსკის მოჭადრაკემ საერთაშორისო ოსტატმა კ. ზვორიკინამ, რომელმაც 11,5 ქულა მოაგროვა 15 შესაძლებელში. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა მოსკოველი პირველთანრიგოსანი ვ. სმირნოვა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ო. რუბცოვამ (მოსკოვი) და პირველთანრიგოსანმა რ. ესტერკინამ (ლენინგრადი).

ამ ოთხმა მოჭადრაკემ მოიპოვა ჭადრაკში ქალთა შორის სსრ კავშირის XVII პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება.

ქალაქთა საკავშირო შეჯიბრება

130-მდე უძლიერესმა შტანგისტმა მიიღო მონაწილეობა მინსკში გამართულ შეჯიბრებაში სსრ კავშირის პირველობაზე.

მჩატე წონაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ვ. სტოგოვი, ქვემსუბუქ წონაში — რ. ჩიმოშკიანი, მსუბუქ წონაში — ა. ფალმეევი, ქვესაშუალო წონაში — ი. დუგანოვი, საშუალო წონაში — ტ. ლომაკინი, ქვემძიმე წონაში — ა. ვორობიოვი, მძიმე წონაში — ნ. მედვედევი.

ვ. სტოგოვმა, რ. ჩიმოშკიანმა, ფ. ნიკიტინმა და ტ. ლომაკინმა გაუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები.

დამთავრდა თბილისის ქალთა V სპარტაკიადა

თბილისის სასპორტო ბაზებზე თვენახევარს გრძელდებოდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა მეხუთე ტრადიციული სპარტაკიადა.

შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენ ქალთა კოლექტივები გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდა უმაღლესი სასწავლებლების გუნდები, მეორეში — ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა გუნდები.

პირველ ჯგუფში გამარჯვება მოიპოვა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენ ქალთა კოლექტივმა, რომელმაც 6 პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი.

მეორე ჯგუფში სპარტაკიადა წარმატებით დაამთავრა „დინამოს“ გუნდმა, რომელმაც 10 პირველი ადგილი დაიკავა.

26 აპრილს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა სპარტაკიადის დახურვა. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები. დასასრულ შედგა კონცერტი.

ფეხბურთი

„ნეფტიანიკი“ (კრასნოდარი) — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის გუნდების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და კრასნოდარის „ნეფტიანიკის“ გუნდები.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თამაში მეტწილად „ნეფტიანიკის“ საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობდა. ერთერთი ერიშის დროს მარცხენა გარემარბმა კოვერზნევმა კარგად გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და მე-12 წუთზე „ნეფტიანიკის“ კარში ბურთი გაატანა.

ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. მატჩი მოიგო თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდმა 1:0.

გალი. სოფელ ოქუმის საშუალო სკოლის შენობა.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ნაყინი მოსახლეობას

თერმეტი სახის 1.400 ტონა ნაყინს მიაწვდის წელს ქალაქის მოსახლეობას თბილისის მაცივარკომბინატი. ნაყინის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა კომბინატმა 123,2 პროცენტით შეასრულა. სიცხეების დადგომისას კომბინატი გაადიდებს ნაყინის გამოშვებას.

საამქროში, სადაც ნაყინის დამზადების ყველა პროცესი მექანიზებულია, ბევრი მოწინავე მუშაა. მათ შორის ც. ქავთარაძე, ბ. ქეტაშვილი, ს. ჯალიაშვილი, ს. ჩიკუნოვა და სხვები დღიურ დავალებებს ორმაგად და მეტად ასრულებენ.

წელს ქალაქში იმუშავებს მაცივარკომბინატის 6 სპეციალიზებული მაღაზია და პავილიონი, 140 დამტარებელ-გამყიდველი. უახლოეს დღეებში გაიხსნება ნაყინის ახალი პავილიონი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ხოლო ივლისის პირველ რიცხვებში პლეჩანოვის პროსპექტზე გაიხსნება ნაყინის საუკეთესოდ მოწყობილი სპეციალიზებული მაღაზია.

ასობით ტონა ნაყინს გამოუშვებს თბილისის რძის კომბინატის ნაყინის დამამზადებელი საამქრო. ამ საამქროს წელს აითვისა ხილის ნაყინის დამზადება, რომლის მასობრივი გამოშვება ამ დღეებში დაიწყება. აქ მოეწყო ახალი დანადგარები, მათ შორის ნაყინის ვაფლის ჭიქებში ჩამოსასხმელი ორი ავტომატი.

საამქროს მუშები ვ. ივანოვა, ვ. ბაიბუსი, მ. მოსეშვილი, მ. აფაქიძე და სხვები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ო. ნიქაბაძე.

საპროდუქტო საკომისიო მაღაზიებში

დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები აქვთ დღესასწაულისათვის თბილისის კოოპერატივრობის საკომისიო მაღაზიებს. სოფლებიდან შემოტანილ იქნა 325 ტონა ხორცი, 120 ტონა ვაშლი, 260 ტონა კარტოფილი, ათასობით გოჭი, ქათამი, 240 ტონა ბოსტნეული და მწვანილი, 50 ტონა ყველი და სხვ., სულ 1.500 ტონამდე სხვადასხვა პროდუქტები.

თბილკოოპერატივრობამ დიღომსა და ორთაჭალაში მოაწყო მიმდები პუნქტები, სადაც პროდუქტები ყოველდღე გადმოაქვთ ავტომანქანებით.

20 აპრილიდან ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში მოწყობილ თბილკოოპერატივის კიოსკებში იყიდება კოჯრიდან, ტაბახმელიდან, კიკეფიდან ჩამოტანილი ახალი რძე.

რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე საკომისიო საჩვენებელი მაღაზიები საკონდიტრო და კულინარიული საამქროდან მიიღებენ თორნის პუროს, ხორცის ნახევარფაბრიკატებს, შემწვარ გოჭებს, მოხარშულ ქათმებს და სხვ.

საჯარო ლექციების ციკლი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 1955 წლის აპრილ-ივნისის თვეებში, პარასკევებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომების დარბაზში (ათარბეგოვის ქუჩა № 32) აწყობს საჯარო ლექციების ციკლს სოციალისტური კანონიერების საკითხებზე თბილისის სახალხო სასამართლოების მოსამართლეებისა და მსაჯულებისათვის.

29 აპრილს, საღამოს 8 საათზე, შედგება ციკლის გახსნა. ლექციას თემაზე „სახალხო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვა“ წაიკითხავს საზოგადოების წევრი დოცენტი ბ. ფურცხვანიძე.

ლექციების ციკლის აბონემენტების შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან (ჯაფარიძის ქ. № 4) და სახალხო სასამართლოებში. ცალკეულ ლექციებზე დასასწრები ბილეთების შეძენა შეიძლება ლექციის დღეს აგგილზე, სალაროში.

მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში მოეწყო მოსწავლეთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საშუალო სამედიცინო პერსონალის დახელოვნების საკითხებს. მოხსენებები გააკეთეს სამედიცინო სასწავლებლის დირექტორმა ბ. ჩუბინიძემ და სასწავლებლის 20 მოსწავლემ.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ფოთის, ბათუმის, ბორჯომის, ხაშურის, სტალინირისა და ჭიათურის სამედიცინო სასწავლებლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განათლების განყოფილების უფროსმა ვ. წილოსანმა.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 30 აპრილს და 1 მაისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა. დასავლეთის ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 4-9, დღისით 13-18 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 9-14 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა. დასავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 15-20 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 11-16 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

1955 წლის 10-V დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაიცავენ:

1. **ნინელ ივანეს ასული ჟღენტი** — თემაზე: „კბილის ფესვგარშემო და გვირგვინგარშემო ცისტათა კლინიკისა და მორფოლოგიის საკითხისათვის“.

2. **ელენე ივანეს ასული დოლიძე** — თემაზე: „Материалы к изучению особенностей питания населения высокогорья“.

17 მაისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **მარიამ ნიკოლოზის ასული მელიქიშვილი**

თემაზე: „ახტალის ტალახით ინფექციური ართრიტების მკურნალობის საკითხისათვის“.

2. **ალექსანდრე ოტოს-ძე გეინე** — თემაზე: „გამაღიზიანებელთა ურთიერთ შეფარდების გამოყენება ავადმყოფთა გამოკვლევისათვის ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების დროს“.

24 მაისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **ეთერ ილიას ასული გაბელაია** — თემაზე: „პლასტმასა აკრი 7-ის, როგორც ჰიპროთეზო მასალის საკითხისათვის ნერწყვის ცვლილებებთან დაკავშირებით“.

2. **რომან ნესტორის-ძე შაქარიშვილი** — თემაზე: „მასალები საჯდომი ნერვის და მისი ტოტების ცეცხლნასროლ დაზიანებათა საკითხის შესწავლისათვის“.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

1). ერთი ექიმი ორდინატორი — სანიტარული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ან სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში სულ მცირე 3 წლის მუშაობის სტაჟით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეაქვთ განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 2 თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემდეგი საბუთების თანდართვით:

1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2) ავტობიოგრაფია, ხელით დაწერილი, 3) უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, 4) ორი ფოტოსურათი, 5) სამეცნიერო შრომების სია გამოქვეყნებული (დამტკიცებული) და გამოუქვეყნებელი შრომების აღნიშვნით, 6) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ნატო ვაჩნაძის ქ. № 9, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა აცხადებს 1955-56 სასწავლო წლისათვის მიღებას შემდეგ განყოფილებებზე: 1. საორკესტრო განყოფილების სიმებიანი დარგი — ვიოლინო, ჩელო; 2. საფორტეპიანო.

განცხადებები მიიღება 15 მაისამდე დღის 2 საათიდან 5 საათამდე ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში (თბილისი, ათარბეგოვის ქ. №42, ტელეფონი № 3-01-14). მისაღები გამოცდები ა. წ. 25 მაისიდან 30 მაისამდე. გამოცდებზე დაიშვებიან ბავშვები 7 წლის ასაკიდან 9 წლამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, მშობლების საქმიანობის შესახებ და სამი ფოტოსურათი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ცენტრალური მუსიკალური სკოლის კანცელარიაში.

ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

უფროსი მეცნიერი მუშაკი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — საფალდებულოა ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიაში და ქირურგიაში მუშაობის გამოცდილება), ასისტენტი ორთოპედიაში — 1, კლინიკური ორდინატორი ორთოპედიაში — 1, კლინიკური ორდინატორი ტრავმატოლოგიაში — 1.

საჭირო საბუთები განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში (თბილისი კალინინის ქ. № 51).

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობისათვის და ორი თვე დანარჩენებისათვის.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — მარინე, **რუსთაველის სახელობის** — პირველი ნაბიჯი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ლეგენდა სიყვარულზე, **გრიბოედოვის სახელობის**—პორტ-არტური, **სომხური დრამის** — კამო, **მუსიკალური კომედიის** — სალხინობელი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აღარ გაიმეორებს (აბონემენტი № 41, 10 ს.), **ბაში-აჩუკი** (აბონემენტი № 6, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ბედნიერ ქუჩაზე (4 ს.), **თოჯინების ქართული** — ნანა ტყეში (11 ს. და 4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის, ვოროშილოვისა და გორკის სახელობის კლუბები — ვეფხვების მომთვინიერებელი, **კომკავშირელი** — საყვარელი მეგობარი, **კოლხიდა** — ჯაშუშების ქსელი, **დიდუბე** — ჩემი პატარა მეგობარი, **კოლმეურნე** — ხუთნი ბარსკის ქუჩიდან, **ოფიცერთა სახლი** — მიედინება მღვრიე წყლები, **კომუნარების ბაღი** — ახალი მხატვრული ფილმი.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

2 მაისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ბ“ კლასი

„ტორპედო“ (გორკი)

ოფიცერთა საოლქო სახლი

(თბილისი)

დასაწყისი 4 საათზე

ბილეთების გაყიდვა იწარმოებს 2 მაისს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ერთი ასპირანტი პედიატრის ადგილზე.

ასპირანტად მიიღება უმაღლესი განათლების მქონე პირი არაუმეტეს 40 წლის ასაკისა.

საკონკურსო მისაღებ გამოცდაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ სპეციალობაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა. ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი სახუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, საქმიანი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, მეცნიერული შრომები; მათი სია, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ სგანში და ორი ფოტოსურათი.

გამოცდები იწარმოებს 15 ივნისიდან 1 ივლისამდე შემდეგ დისციპლინებში: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენაში და ერთ უცხო ენაში.

განცხადება და სახუთები მიიღება 1 მაისიდან 30 მისამდე დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტის კანცელარიაში (ლენინის ქუჩა № 38).

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

1 მაისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

ცდსა (მოსკოვი) — **„დინამო“** (თბილისი)

დუბლიორთა შემადგენლობა

დასაწყისი 4 საათზე.

ცდსა (მოსკოვი) — **„დინამო“** (თბილისი)

ძირითადი შემადგენლობა

დასაწყისი 6 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორების თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე. ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს 29 აპრილის დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

მოქალაქე **დავით ივლიანეს-ძე ჯაფარიძემ**, მცხოვრებმა ჯაფარიძის ქ. № 14, აღძრა საქმე ბაქოს ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე **ოლღა სამსონის ასულ კირკველიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნაზი, მშობლები ვერა, მილოსი ოჯახით იუწყებიან

ჯუმბერ დოლიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-IV, 2-V, 8 ს. გამოსვენება 3-V, 6 ს. საბჭოს ქ. № 65.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება მწერალ

გიორგი ცაგარლის

გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი იუწყებიან

სოფიო სოლომონის ასულ ხომიზურაშვილის

გარდაცვალებაა.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური